



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/02

ქ. თბილისი

14 თებერვალი 2018წ.


სტუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებული ბიბლიოთეკარის და უფროსი ბიბლიოთეკარის შტატის სპეციალისტის, უფროსი სპეციალისტის და მთავარი სპეციალისტის შტატთან გათანაბრების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, პროფ. ვ. პაპასკირის მოხსენებითი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება სტუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებული ბიბლიოთეკარის და უფროსი ბიბლიოთეკარის შტატის სპეციალისტის, უფროსი სპეციალისტის და მთავარი სპეციალისტის შტატთან გათანაბრების შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბოკიძე